პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 აპრილი შაბათი 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 98 (14398)

საკოლმეურნეო წყობილების ახალი გაძარჯვებისაკენ

PRAVDA

25 აპრილის მოწინავე

„პრავდამ" ფართო განხილვისათვის გამოაქვეყნა კოლმეურნეობის (სასოფლო-სამეურნეო არტელის) ახალი სანიმუშო წესდების პროექტი. იგი მომამზადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილმა კომისიამ ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის თავმჯდომარეობით და მოწონებულია სოფლად გამართულ ბევრ კრებაზე წინასწარი განხილვის პროცესში.

საკოლმეურნეო წყობილება, რომელიც დამკვიდრდა ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების შედეგად, — საბჭოთა საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. კომუნისტურმა პარტიამ, წყვეტდა რა სოციალისტური გარდაქმნების ისტორიულ ამოცანებს, შექმნა მძლავრი ინდუსტრია, გაბედულად წაიყვანა გლეხობა კოლექტივიზაციის გზით. საბჭოთა სოფლის გადასვლა მსხვილ სოციალისტურ მეურნეობაზე, ქვეყანაში ექსპლოატატორთა უკანასკნელი კლასის — კულაკობის ლიკვიდაცია ნიშნავდა ძირეულ გადატრიალებას სოფლის ცხოვრების მთელ წყობაში. მილიონობით წვრილი ინდივიდუალური მეურნეობის ნაცვლად შეიქმნა კოლმეურნეობები — კოლექტიური მეურნეობანი, რომლებშიც გლეხთა პირადი ინტერესები შეხამებულია საზოგადოებრივ, საერთო-სახალხო ინტერესებთან. საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს — მტს-ებს. კოლმეურნეობებთან ერთად მუშაობას აჩაღებდნენ, მსხვილი მეურნეობის გაძლოლის მაგალითს უჩვენებდნენ საბჭოთა მეურნეობები — სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები.

1935 წელს მოსკოვში შეკრებილმა კოლმეურნეთა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობამ მიიღო სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება — საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი. ამ კანონმა დიდი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო არტელების განმტკიცებასა და განვითარებაში, დღემდე ემსახურება მათი საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობისა და სასაქონლო პროდუქციის ზრდას, კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუჯობესების საქმეს. მაგრამ ეს წესდება ახლა ველარ ასახავს ყველა ეკონომიურ და სოციალურ გარდაქმნას სოფლად.

კოლმეურნეობათა გამსხვილებამ, სამუშაოთა მექანიზაციის ზრდამ სოფლად მნიშვნელოვნად დაუახლოვა ერთმანეთს სასოფლო-სამეურნეო შრომა და ინდუსტრიული შრომა. თვითეულ კოლმეურნეობას ახლა აქვს ათობით, ზოგიერთს კი ასზე მეტი ტრაქტორი, ბევრი ავტომობილი, ბევრი სხვა ტექნიკა. მიმდინარე წლის დამდეგისათვის სოფლის მეურნეობაში იყო 3,6 მილიონი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაანგარიშებით) — ხუთჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს, 580 ათასი მარცვლეულის ასაღები კომბაინი — სამჯერ და უფრო მეტი, 1,1 მილიონი სატვირთო ავტომობილი — ხუთჯერ მეტი, ვიდრე ომამდე. ეს საშუალებას გვაძლევს წარმოებას გავუძღვეთ სულ უფრო ეფექტიანად, გავადიდოთ მისი საქონლიანობა. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვაში კოლმეურნეობათა ხვედრითი წონა ახლა შეადგენს: მარცვლის შესყიდვაში — 50 პროცენტზე მეტს, შაქრის ჭარხლისა — 90, ბამბისა — 80, ხორცისა — 45 და რძისა — 55 პროცენტს.

ტექნიკის ფართოდ გამოყენებამ შეცვალა სოფლის სახე, მოსახლეობის ტექნიკური და კულტურული დონე. საწარმოო შენობებთან და ნაგებობებთან ერთად სოფლად შენდება ახალი კეთილმოწყობილი სახლები, ფართოვდება სკოლებისა და კლუბების, საბავშვო ბაღებისა და სამედიცინო პუნქტების, მაღაზიებისა და სასადილოების ქსელი. გაზეთები და წიგნები, ელექტრობა და რადიო თვითეული ოჯახის კუთვნილება გახდა. და ეს იმის მიუხედავად, რომ ომმა კოლოსალური ზარალი მიაყენა როგორც კოლმეურნეობას, ისე მთელ სახალხო მეურნეობას. ახლა კოლმეურნეთა მესამედი უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე ადამიანები არიან.

რა შეიძლება იყოს იმ ფაქტებზე უფრო დამაჯერებელი, რომლებიც მოწმობენ ძირეულ ცვლილებებს სოფლად. საკოლმეურნეო წყობილების დიად ძალას, გმირულ შრომას საბჭოთა გლეხობისას, რომელიც მუშათა კლასთან კავშირით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს ახალ, ბედნიერ ცხოვრებას!

ეს ისტორიული ცვლილებანი და სოფლის მეურნეობის წინაშე სკკპ XXIII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ დასახული ახალი ამოცანები მოითხოვენ ცვლილებებს საკოლმეურნეო წესდებაშიც, გვავალებენ გავითვალისწინოთ შეძენილი გამოცდილება. საკოლმეურნეო წესდების პროექტი შედგენილია სწორედ ყოველივე ამის გათვალისწინებით, ეყრდნობა სოფლად შექმნილ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

წესდების პროექტში ხაზგასმულია, რომ კოლმეურნეობისა და კოლმეურნეების ძირითადი ამოცანები ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით გამოიყენონ მსხვილი მეურნეობის შესაძლებლობანი და უპირატესობანი, რათა გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა, გაუმჯობესონ კოლმეურნეთა ცხოვრება. საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და განვითარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის ინტერესები მოითხოვენ ფართოდ დავნერგოთ ქიმიზაცია, წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და განვახორციელოთ მიწების მელიორაციის დასახული პროგრამა.

წესდების პროექტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კოლმეურნეობის მოვალეობებს. რომ რაც შეიძლება ეფექტიანად გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, გაზარდონ მიწების ნაყოფიერება. ასეთი სავარგულები კოლმეურნეობებს მიჩენილი აქვთ 225 მილიონ ჰექტარზე მეტი, მათ შორის თითქმის 115 მილიონი ჰექტარი სახნავი. ახალ დოკუმენტში ასახულია ძირეული ცვლილებებიც, რაც მოხდა საკოლმეურნეო საკუთრებაში — განუყოფელ ფონდებში, რომლებიც ამჟამად უდიდეს საზოგადოებრივ დოვლათს შეადგენენ. მათი განაწილება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; თავის ქონებასა და ფულად სახსრებს შეიძლება განაგებდეს მხოლოდ თვით სასოფლო-სამეურნეო არტელი.

დამოუკიდებლობის ფართო უფლება აქვთ მინიჭებული კოლმეურნეობებს საზოგადოებრივი წარმოების დაგეგმვასა და რაციონალურ გაძღოლაში, სამეურნეო ანგარიშის დანერგვაში. მათ წინაშე იხსნება სულ უფრო ხელშემწყობი შესაძლებლობანი, რათა ეფექტიანად გამოიყენონ მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები. განვითარონ კოლმეურნეთა შემოქმედებითი ინიციატივა.

ზრუნავს რა წარმოების თანმიმდევრული ინტენსიფიკაციისა და სპეციალიზაციისათვის, მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, კოლმეურნეობას შეუძლია შექმნას თავისი დამხმარე საწარმოები და სარეწები, მონაწილეობა მიიღოს საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოთა ორგანიზაციაში. მას შეუძლია თავისი სახსრების ნაწილი გააერთიანოს ადგილობრივი საბჭოების, სამომხმარებლო კოოპერაციისა და სხვა ორგანიზაციების სახსრებთან კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისა და შენახვისათვის, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის. ამ ბოლო წლების მანძილზე ყოველივე ეს უკვე დამკვიდრდა ბევრი სასოფლო-სამეურნეო არტელის მუშაობის პრაქტიკაში.

წესდების პროექტში ყოველმხრივ ასახულია შრომის ორგანიზაციის, ანაზღაურებისა და დისციპლინის საკითხებიც. კოლმეურნეობები ახლა ამ საკითხებს გადაწყვეტენ მეურნეობის კონკრეტული პირობების, შეძენილი გამოცდილების გათვალისწინებით. მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის წახალისების სხვა ღონისძიებებთან ერთად გათვალისწინებულია ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის „სოციალისტური კოლმეურნეობა" ან „დამსახურებული კოლმეურნეობა" წოდების მინიჭება. კოლმეურნეობამ, მისმა გამგეობამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სოფლის შრომელები უნდა აღზარდონ მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. სოფლად გაიზარდნენ თავიანთი საქმის შესანიშნავი ოსტატები, შრომის ნამდვილი გმირები. ასეთი ადამიანების რიცხვი სულ უფრო იზრდება. წესდების პროექტით გათვალისწინებული წახალისების ღონისძიებანი ღირსეული ჯილდო იქნება მათი შრომითი მამაცობისათვის.

მოკმედ წესდებასთან შედარებით ახალ დოკუმენტს მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიქვს კოლმეურნეობის შემოსავლის განაწილების წესში. იგი უზრუნველყოფს პირველ რიგში საწარმოო დანახარჯების დაფარვას, მათ შორის შრომის ანაზღაურებას, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა დროულად შესრულებას, საზოგადოებრივი ფონდების შექმნასა და შევსებას, კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას პროდუქციის წარმოების გადიდებითა და მისი ღირებულების შემცირებით. შრომის გარანტირებული ანაზღაურება, რომელიც უკანასკნელ წლებში დაწესდა ყველა სასოფლო-სამეურნეო არტელში, საშუალებას გვაძლევს სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო ანაზღაურების ეგრეთწოდებულ ნაშთობრივ პრინციპს, რაც აღბეჭდილი იყო ძველ წესდებაში. ახლა შრომის ანაზღაურების ფონდის შექმნა მიჩნეულია პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმედ.

პროექტში აგრეთვე ჩაწერილია, რომ კოლმეურნეებს უფლება აქვთ მიიღონ პენსიები მოხუცებულობის, ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის გამო, ხოლო კოლმეურნე ქალებს — დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო. გათვალისწინებულია აგრეთვე დახმარების სხვა ღონისძიებანი. ყოველივე ეს ასახავს კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკითხების გადაჭრის იმ პრაქტიკას, რაც უკანასკნელ წლებში შეიქმნა. ეს არ ყოფილა სასოფლო-სამეურნეო არტელის ძველ წესდებაში. და ახლი დებულებანი მკაფიოდ ადასტურებენ საკოლმეურნეო წყობილების დიად ძალას, რომელმაც მშრომელ გლეხობას გაუხსნა უზრუნველყოფილი და კულტურული ცხოვრების გზა. რა თქმა უნდა, კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ყველა საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. მაგრამ თანდათანობით ეს საკითხებიც გადაიჭრება.

წესდების პროექტში დიდი ყურადღება ეთმობა სასოფლო-სამეურნეო არტელის მოვალეობებს კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, სოფლების კეთილმოწყობის დარგში. ჩვენმა პარტიამ, უზრუნველყო რა სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში, ბევრი რამ გააკეთა ამისათვის, რომ სამუდამოდ მოეღო ბოლო სოფლად ჩამორჩენილობისათვის. კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში პარტია ამოცანად ისახავს თანდათანობით გარდაქმნას საკოლმეურნეო სოფლები ქალაქის ტიპის გამსხვილებულ, კეთილმოწყობილ დაბებად. ასეთი დაბები უკვე ახლა სულ უფრო მეტი ხდება.

კოლმეურნეობათა შემდგომი განვითარების ეკონომიური საფუძველია მათი საწარმოო ძალების განუწყვეტელი ზრდა და ეფექტიანი გამოყენება, საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციისა და მეურნეობის გაძღოლის მეთოდების გაუმჯობესება. დადგება დრო და კოლმეურნეობანი გარდაიქმნებიან კომუნისტური ტიპის საწარმოებად, მთელ ქვეყანასთან ერთად გადავლენ წარმოებისა და განაწილების კომუნისტურ ფორმებზე. ეს დიდი, რთული ამოცანაა, მისი გადაჭრა ბევრ დროს მოითხოვს.

ახალი წესდება ითვალისწინებს კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის შენარჩუნებას, აწესებს მათი საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობასა და პირადი საკუთრების პირუტყვის რაოდენობას. როცა საზოგადოებრივი წარმოება მთლიანად შეიცვლის ამ პირად მეურნეობას, კოლმეურნეები თვითონვე ნებაყოფლობით იტყვიან უარს ასეთ მეურნეობაზე. მაგრამ ჯერჯერობით იგი აუცილებელია, და ახალი დოკუმენტი აწესებს მის გარკვეულ ფარგლებს.

წესდების პროექტი უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის მართვის სისტემის შემდგომ გაუმჯობესებას, საკოლმეურნეო დემოკრატიის განმტკიცებასა და განვითარებას. კანონიერი უფლება ეძლევათ ბრიგადების საბჭოს, რწმუნებულთა კრებებს, ბრიგადების კრებებს, კოლმეურნეობის გამგეობის, თავმჯდომარისა და რევიზიონო კომისიის არჩევნები რეკომენდებულია მოეწყოს ღია ან ფარული კენჭისყრით, საერთო კრების შეხედულებისამებრ.

განსაკუთრებით გამოყოფილია საკითხი აგრეთვე კოლმეურნეობის სპეციალისტების, ბრიგადირების უფლება-მოვალეობათა შესახებ. და ეს სავსებით გასაგებია. მარტო აგრონომები და ზოოტექნიკოსები, ინჟინრები და ეკონომისტები, სხვა დარგების უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები ამჟამად კოლმეურნეობებში 280 ათასზე მეტია. ეს უდიდესი ძალაა, რომლის როლი ყოველწლიურად სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარება უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, საერთო-პარტიული და საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანაა. იგი უნდა გადაიჭრას იმ გზით, რომ შევუქმნათ საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობათა წარმოებას, აგრეთვე მის მომსახურე დარგებს უფრო მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საჭიროა კვლავაც აღვჭურვოთ სოფლის მეურნეობა თანამედროვე მანქანური ტექნიკით, უზრუნველვყოთ მისი კომპლექსური მექანიზაცია, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოთხოვნილებანი მინერალურ სასუქებსა და სხვა ქიმიურ საშუალებებზე, დიდი მასშტაბებით ვაწარმოოთ სამელიორაციო სამუშაოები. ყოველივე ეს მოითხოვს სოფლის მშრომელებისა და მუშათა კლასის, მეცნიერებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მთელი საბჭოთა ხალხის ერთობლივ მეცადინეობას.

ახალი წესდების პროექტის ფართო განხილვა საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ საკოლმეურნეო წყობილების უმდიდრესი რეზერვები, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო არტელებში ჯერ არც თუ ცოტაა, უფრო წარმატებით ვიბრძოლოთ სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის. წესდების პროექტის განხილვისას პარტიული ორგანიზაციები, პროპაგანდისტები, პოლიტინფორმატორები და აგიტატორები, ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია მოწოდებული არიან აქტიურად განმარტონ იმ ღონისძიებათა მნიშვნელობა, რომლებსაც პარტია ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ეს მუშაობა მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ კონკრეტულ ამოცანებს იმ სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა იკისრეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. წელს გაზაფხული გვიან მოვიდა, და მთელ რიგ რაიონებში ცუდი ამინდი დგას, რაც დამატებითს ძიძილელებს ქმნის. კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის მოვალეობაა ძალღონე არ დაიშურონ, რათა წარმატებით დაამთავრონ თესვა და სხვა სამუშაოები, პირველი მაისის დღესასწაული აღნიშნონ შთაგონებული შრომით, მუშაობის მაღალი ტემპებით.

ახალი წესდების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგად შეიკრიბება კოლმეურნეთა ყრილობა. იგი განიხილავს და დაამტკიცებს ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტს საკოლმეურნეო ცხოვრების კანონად. ახალი წესდება მოგვიწოდებს ახალი გამარჯვებებისათვის, ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განვითარებას, ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნას, კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს.

გაუმარჯოს, გმირ კოლმეურნე გლეხობას — კომუნიზმის აქტიურ მშენებელს!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან).

სტუმრად რუმინეთში

ბუქარესტი, 25 აპრილი. (საკდისი). გუშინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბ. ს. ძოწენიძის მეთაურობით ვიზიტად ჩავიდა დოლჟის მაზრის სახალხო საბჭოს წვრრეს.

რუმინეთის კომპარტიის სამაზრო კომიტეტის პირველმა მდივანმა და სამაზრო სახალხო საბჭოს თავმჯდომარემ გეორგე პეტრესკუმ საბჭოთა სტუმრებს გააცნო სამაზრო საბჭოს საქმიანობა.

საბჭოთა დელეგაციის წევრები გაეცნენ სახელმწიფო და პარტიული მუშაობის გამოცდილებას მაზრავი. შემდეგ ინახულეს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო-ქარხანა „ელექტროპულერი", სადაც მათ ქარხნის მუშაკები გულთბილად შეხვდნენ.

საბჭოთა დელეგაცია ეწვია აგრეთვე უნივერსიტეტს სამაზრო ცენტრ ქალაქ ჭრაიოვაში, დაათვალიერა აუდიტორიები და ლაბორატორიები, ესაუბრა სტუდენტებსა და მასწავლებლებს.

სტუდენტი ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეკრება

25 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის შეკრება, რესპუბლიკის ყველა კუთხიდან თბილისში ჩამოვიდნენ ქართველ სტუდენტთა 80-ათასიანი არმიის წარმომადგენლები, ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებსაც დაკისრებული აქვთ საპატიო ამოცანა — განაგრძონ მამათა სახელოვანი საქმეები, ამრავლონ საბჭოთა ხალხის მიღწევები სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში.

შეკრება გაიმართა ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება ფართოდ აღნიშნოს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი. რესპუბლიკის სტუდენტობა განიხილავს დიდმნიშვნელოვან საკითხს — როგორ მოემზადონ დიდი ბელადის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის.

ახალგაზრდობასთან სტუმრად მოვიდნენ ძველი თაობის ადამიანები — უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, პროფესორები და მასწავლებლები, უმაღლესი სასწავლებლების პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი, მეცნიერები. „ქვეა" მოძმე სომხეთის ახალგაზრდობის დელეგაცია.

შეკრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, დ. ბ. სტურუა, ბ. დ. ჯაფარიძე, ი. ი. ლოლაშვილი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ნ. პასტუხოვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. ვ. მეტრეველი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე დ. ბ. ლაშქარაძე, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ბ. ნ. ჯიბლაძე, თბილისის უნივერსიტეტის რექტორი სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ი. ნ. მეკაში, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ი. მ. ბუაჩიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები და ცენტრალური კომიტეტის წევრები, სახელოვანი სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

მოხსენება „რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირულ ორგანიზაციათა როლი ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადებაში" გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ვ. მეტრეველმა.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი შ. შარმავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ი. ვეკუა, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი რ. ღარიბაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ბ. ძლიბაძე, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი პროფესორი ბ. ბანძელაძე, საქართველოს ალკკ სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ცოფაია, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბ. ჯიბლაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი, სსრ კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში ნ. ალექსანდრია, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის გამგე ი. ციციშვილი, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი, ლენინური კომკავშირის სტიპენდიატი ც. კორშია, რუსთავის ქიმიური კომბინატის დირექტორი ნ. ხოფერია, თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, სტუდქალაქის სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარე ი. სიმრიძე, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიული ბიუროს მდივანი ვ. პაპაკორია, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. პასტუხოვი, უცხო ენათა ინსტიტუტის სკკპ ისტორიისა და პოლიტეკონომიის კათედრის გამგე ვ. მაჭავარიანი.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს რესპუბლიკის მთელი ახალგაზრდობისადმი მიმართვა, რომელშიც მოუწოდებენ ღირსეული საქმეებით, სწავლასა და შრომაში წარმატებებით აღნიშნოს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსშესანიშნავი თარიღი.

შეკრების ანგარიში გამოქვეყნდება. (საქდისი).

უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი

საქართველოს სსრ სოფლის მშრომელებს დიდი ინტერესით ეცნობიან კოლმეურნეობის (სასოფლო-სამეურნეო არტელის) სანიმუშო წესდების პროექტს

ცხოვრების ქარნახით

სამ ათეულ წელზე მეტია ვმუშაობ მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. კარგად მახსოვს კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მეორე ყრილობა, პრაქტიკული მონაწილეობა მაქვს მიღებული სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განხორციელებაში. მაშინ ბევრი სიძნელე გვქონდა, მაგრამ წესდების სწორად განხორციელებამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. ჩვენი კოლმეურნეობა კომუნისტური შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევა.

ახლა, როცა გამოქვეყნდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების პროექტი, კოლმეურნეები გულდასმით ეცნობიან მას. პირობას დებენ ჯალაბაც იშრომონ და იმუშაონ კომუნისტურად, განუხრელად დაიცვან საკოლმეურნეო ცხოვრების კანონი.

ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვას ახალი წარმატებებით გუპასუხოთ. წელს კოლმეურნეობა მოკრეფს 1.600 ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლი ნაცვლად შარშან მოკრეფილი 1 546 ტონისა. საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობით შეეხვდებით კოლმეურნეთა მესამე ყრილობას და ახალი წარმატებებით აღვნიშნავთ ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავს.

ს. მუხაშავრია,
მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

წინსვლის საიმედო გზა

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობაში დიდი ინტერესით ეცნობიან პრესაში დაბეჭდილ კოლმეურნეობის (სასოფლო-სამეურნეო არტელის) სანიმუშო წესდების პროექტს, რომელიც ქვეყნდება ფართო განხილვისათვის.

კომუნისტური შრომა და ცხოვრება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უპირველესი მთახოვნაა. ეს განსაზღვრავს წინსვლის გზებს. ჩვენი ბრიგადის წევრებიც განუხრელად ახორციელებენ ამ მთახოვნებს. შარშან ბრიგადამ მოკრიფა 130 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, წელს 140 ტონაზე მეტს მოკრეფს. პირადად მე მოვკრეფ 10 ტონას.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მიწას და მისი გონიერულად გამოყენების საქმეს. ცნობილია, რომ მიწის სახელმწიფო საკუთრების გარდა კოლმეურნეობის ეკონომიური საფუძველია კოლმეურნეობის საზოგადოებრივი საკუთრება. სწორედ ამ საფუძველზე ჩვენი კოლმეურნეობა განმტკიცდა ეკონომიურად და კოლმეურნეებიც შეძლებულად ცხოვრობენ.

თამარ ყუფუნია,
ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

სურათზე: მცხეთის რაიონის არაშენდის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახე ვ. ზურაბიშვილი მევენახეებს აცნობს კოლმეურნეობის (სასოფლო-სამეურნეო არტელის) სანიმუშო წესდების პროექტს.

ფოტო ბ. ბოგოსიანისი.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ე. ღვინიანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის. დაბადების სამოცი წლისთან დაკავშირებით, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მემოდელე ამხ. ალექსანდრე ივანის-ძე **ღვინიანიძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი, 1969 წლის 25 აპრილი.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. ი. როდომანჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლისთან დაკავშირებით, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი ამხ. ნიკოლოზ ივანის-ძე **როდომანჩენკო** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი, 1969 წლის 25 აპრილი.

გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ვ. ბელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამთო მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლისთან დაკავშირებით, ტრესტ „ქიათურამანგანეცის" პერეკეთილის მაღაროთსამმართველოს მიბაგი ამხ. ალექსანდრე ვასილის-ძე **ბელაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაშაძე

თბილისი, 1969 წლის 25 აპრილი.

საქართველოს სსრ მრეწველობის 1969 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შეჯამება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის 1969 წლის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია 99,1 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალიზებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 4 პროცენტით, ხოლო მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობა — 5 პროცენტით.

გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო სტქიური უპედურებანი და წლევანდელი ზამთრის ამინდის პირობები.

რესპუბლიკის მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში პროდუქციის გამოშვება 1968 წლის I კვარტალთან შედარებით გაიზარდა:

ელექტროენერგეტიკა	8 პროცენტით
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	4
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	5
ხე-ტყის, ხისდამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	6
მსუბუქი მრეწველობა	4
აქედან: სთვიერო	0,9
კვების მრეწველობა	10
აქედან:	
კარაქისა და ყველისა	3
ღვინისა	21
ჩაისა	3
თამბაქოსი	27
კონსერვისა	23

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება და წარმოების ზარდის ტემპები ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა მიხედვით ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1969 წლის I კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1969 წლის I კვარტალი 1968 წლის I კვარტალთან შედარებით
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველო	100,5	107
ქიმიური მრეწველობის სამმართველო	80	99,6
ხე-ტყის, ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	103	110
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	89	92
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	98	104
კვების მრეწველობის სამინისტრო	105	114
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	110	94
ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტი	105	133
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	107	119
მურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი	104	105

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებამ და წარმოების ზრდის ტემპებმა ქალაქ თბილისში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში შეადგინა:

	1969 წლის I კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი	1969 წლის I კვარტალი 1968 წლის I კვარტალთან შედარებით
ქალაქი თბილისი	99,9	103
აფხაზეთის ასსრ	106	120
აჭარის ასსრ	97	97
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	108	102

მრეწველობის პროდუქციის ცალკეულ სახეობათა წარმოებამ ნატურალური გამოხატულებით შეადგინა:

	წარმოებულია 1969 წლის 1 კვარტალში	1969 წლის I კვარტალი 1968 წლის I კვარტალთან შედარებით
ელექტროენერგია (საერთო სარგებლობის ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები) — მილიონი კილოვატ-საათი	2153	104
ქვანახშირი — ათასი ტონა	580	103
მარგანეცის მადანი — ათასი ტონა	364	93
თუჯი — ათასი ტონა	204	93
ფოლადი — ათასი ტონა	342	92
ნაგლინი სულ — ათასი ტონა	265	89
ფოლადის მილები:		
მილიონი მეტრი	6	106
ათასი ტონა	116	99,1
კოქსი სულ — ათასი ტონა	164	98
მინერალური სასუქები (პირობითი ერთეულებით) — ათასი ტონა	120	85
სატვირთო ავტომობილები — ცალი	3200	107
ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი	875	92
სამაგისტრალო ელმავლები — ცალი	22	92
ცემენტი — ათასი ტონა	300	89
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	12	72
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა	185	96
ქაღალდი — ტონა	7966	109
ავეჯი — ათასი მანეთისა	7793	107
პაიჭინოები — ცალი	1004	100,4
სარეცხი მანქანები — ათასი ცალი	38	121
ბამბის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	12	85
შალის ქსოვილები — ათასი კვადრატული მეტრი	1869	102
აბრეშუმის ქსოვილები — ათასი კვადრატული მეტრი	6729	112
წინდა — ათასი წყვილი	3585	87
ტრიკოტაჟის საცვალი — ათასი ცალი	4789	102
ზედა ტრიკოტაჟი — ათასი ცალი	1896	109
ტყავის ფეხსაცმელი — ათასი წყვილი	3399	96
ხორცი *) — ტონა	7547	76
ყველი *) — ტონა	2133	99,6
კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა	23	177
მარგარინის ნაწარმი — ტონა	4078	94
კარაქი *) — ტონა	152	106
მცენარეული ზეთი — ტონა	3562	110
მოუხდილი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — ათასი ტონა	20	102
ჩაი ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული — ტონა	4959	115
ყურძნის ღვინო *) — ათასი დეკალიტრი	2685	108
შამპანური — ათასი ბოთლი	1972	87
პაპიროსი და სიგარეტი — მილიონი ცალი	3149	108

გასული წლის I კვარტალთან შედარებით წარმოებულია მეტი: ელექტროენერგია — 91 მილიონი კილოვატ-საათი, ქვანახშირი — 17 ათასი ტონა, სატვირთო ავტომობილები — 200 ცალი, ქაღალდი — 649 ტონა.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება გაიზარდა: შალისა და აბრეშუმის ქსოვილებისა — 739 ათასი კვადრატული მეტრით, ტრიკოტაჟის საცვლებისა და ზედა ტრიკოტაჟისა — 229 ათასი ცალით, კონსერვებისა — 10 მილიონი პირობითი ქილით, მცენარეული ზეთისა — 299 ტონით, მოუხდელი რძის პროდუქციისა — 329 ტონით, ნატურალური დაფასოებული ხარისხოვანი ჩაისა — 660 ტონით, ყურძნის ღვინისა — 192 ათასი დეკალიტრით.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გასული წლის პირველი კვარტალთან შედარებით მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში გაიზარდა 3 პროცენტით, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ მრეწველობაში — 5 პროცენტით; მოგება შესადარ ფასებში გადიდდა 4 პროცენტით.

1969 წლის პირველი კვარტალის დამლევისათვის დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობდა 633 სამრეწველო საწარმო, რომლებმაც გამოიშვეს მთელი სამრეწველო პროდუქციის 72 პროცენტი და მოგების 61 პროცენტი. პროდუქციის რეალიზაციის 1969 წლის პირველი კვარტალის გეგმა ამ საწარმოებმა შეასრულეს 100,1 პროცენტით, პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა 1968 წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაიზარდა 3 პროცენტით, წარმოების მოცულობა — 4 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 2 პროცენტით.

*) კოლმეურნეობათა მიერ წარმოებისა და მოსახლეობის შინ წარმოების გარდა.

საამაყო პროფესიის ადამიანები

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის პირველ გვერდზე დაბეჭდილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამრეწველო საწარმოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის ვეტერანი მუშების — თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის მეყალიბის ა. ღვინიანიძის, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატის ნ. როდომანჩენკოს და ჭიათურის მარგანეცის ტრესტის პერევისის მაღაროს მებიგის ა. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტები მოგვითხრობენ ამ სახელოვანი მუშების შრომითს მიღწევებზე.

მ ე ყ ა ლ ი ბ ე

ერიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც თავიანთი მოკრძალებული უპრეტენზიო შრომით ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ საერთო სახალხო საქმეში. სწორედ ასეთ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნის მეყალიბე ალექსანდრე ღვინიანიძე.

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ა. ღვინიანიძე თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში მუშაობს, და ამ ხნის მანძილზე ვინ იცის მის ხელში რამდენ ამა თუ იმ დეტალის ყალიბს გაუყალია. მეყალიბის პროფესიაზე, რომელიც ზედმეწევნით სიზუსტეს მოითხოვს, ბევრად არის დამოკიდებული საწარმოო მარკის ღირსება. აქ დაშვებული სულ მცირე უზუსტობაც კი შეიძლება საბედისწერო გამოდგეს, რაც შემდგომ პროდუქციის ხარისხზე იქონიებს გავლენას. ალექსანდრე კი თავისი საქმის ნამდვილი სპეციალისტია და მის მიერ დამზადებული თვითეული დეტალის ყალიბი ყოველთვის საუკეთესო ხარისხის არის. ყოველივე ამის გარდა იგი ზედმიწევნით კარგად ერკვევა ნახაზებში. მისი პროფესია უამისოდ წარმოუდგენელიც კია. ყოფილა შემთხვევა, როცა ნახაზში არსებული ამა თუ იმ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ინჟინერ-კონსტრუქტორთან ერთად ღამეები უთენებია, რაც ყოველთვის სიამაყის გრძნობით აღავსებდა ამ ჯარმაგ კაცს, რომელიც მიუხედავად 60 წლის ასაკისა კვლავ ახალგაზრდული ენერგიით შრომობს მშობლიური საწარმოს ღირსებისათვის.

ალექსანდრე ღვინიანიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ საზოგადოებრივ საქმიანობაში. წლების მანძილზე იყო საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი, ქარხნის პარტბიუროს წევრი. კარგი მუშაობისათვის ადმინისტრაციისაგან მრავალი მადლობა და ფულადი ჯილდო დაუმსახურებია.

26 კომისრის სახელობის ქარხნის პროდუქციას დღეს კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამიტომაც არის, რომ მშობლიური საწარმოს თვითეული წარმატება გულით უხარია ა. ღვინიანიძეს, რომელიც დღესაც ახალგაზრდული შემართებით იღვწის მშობლიური საწარმოს ღირსებისათვის.

თ. კინწურაშვილი,
„კომუნისტის“ კორ.

ხ ა რ ა ტ ი

ნიკოლოზ როდომანჩენკომ, როცა ტაგანროგის ერთერთ ქარხანასთან არსებულ საფაბრიკო-საკარხნო სასწავლებელში ჩაირიცხა, პირველად მხოლოდ მაშინ ნახა ხახარატო ჩარხი.

ამ დღიდან შეიყვარა მან ხარატის პროფესია და აგერ უკვე 33 წელიწადია სხვა პროფესიაზე აღარ გაუცვლია იგი. თავისი ხანგრძლივი შრომითი ცხოვრება მან ერთ საწარმოში — თბილისის დღევანდელი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში გააატარა. უკვე პარტიის წევრობის კანდიდატი აქტიურად ჩაება ჯერ სტახანოველთა შეჯიბრებაში, შემდეგ ქარხანაში „ათასიანელთა“ მოძრაობის ინიციატორი გახდა.

— სამამულო ომმა დროებით დაარღვია საწარმოს რიტმი, — იგონებს ვეტერანი მუშა, — ომისათვის ჭირვეთი იყო საჭირო ჩვენი პროდუქცია. „ათასიანელები“ დღეში 12 საათს ვმუშაობდით და 1.000 პროცენტით ვანაღდებდით დღიურ ნორმებს. დღეში ვუშვებდით დავალებაზე 10-ჯერ მეტ პროდუქციას.

ომის დასაწყისში როდომანჩენკო პარტიის რიგებში შეიყარა და საამქროს კომუნისტთა ხელმძღვანელობაც დაავალეს. ეს პირველი პარტიული დავალება იყო როდომანჩენკოსთვის, მაგრამ კომკავშირული მუშაობის ორგანიზატორულმა გამოცდილებამ მას საშუალება მისცა საამქროს კომუნისტები ერთიან ძალად ექცია. მოწინავე ხარატი მალე მრავალი რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოგონების ავტორი გახდა. ბევრი მათგანი დაინერგა წარმოებაში. დღეს მათი ეკონომიური ეფექტი ათეულ ათასობით მანეთით განისაზღვრება.

მუშა-ნოვატორმა 1961 წელს თბილისის მანქანათსამშენებლო ტექნიკუმიც დაამთავრა, მაგრამ თავის ძველ პროფესიას მაინც ვერ უღალატა. ეს არც არის გასაკვირველი. ნიკოლოზ როდომანჩენკოს სწორედ ხარატის პროფესიამ მოუტანა საკუთარ კოლექტივში დიდი ავტორიტეტი, საკუთარი პროფესიის სრულყოფილი დაუფლებით მისცა საშუალება, ხალხს მაქსიმუმი ეშოა, რისი მიცემაც ერთ მშრომელ ადამიანს შეუძლია.

ახლა ორმოცდაათი წლისაა კომუნისტი ხარატი. ახალგაზრდული ენთუზიაზმით წინამძღოლობს საამქროს პარტორგანიზაციას. შრომითს ფრონტზეც არ შეუნელებია ახალგაზრდობაში აღებული ტემპი. ძველი სტახანოველი, „ათასიანელი“ კომუნისტური შრომის დამკვრელი გახდა და საამქროში ყველაზე პასუხსაგებ დეტალებს ამზადებს. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მის მიერ გაკეთებული რომელიმე დეტალი პირველი წარდგენისთანავე არ ჩაებარებინოს ტექნიკურ განყოფილებას.

რ. ჭელიძე,
„კომუნისტის“ კორ.

ბ ე ჭ ი გ ე

ხარაგოულელ ვასილ გელაშვილის ოჯახს ცამეტი შვილი ჰყავდა. 30-იან წლებში ვასილმა ჭიათურის მაღაროებს მიაშურა და იქ დაიწყო მუშაობა. ლენინის სახელობის მაღაროში მარგანეცის მნგრეველი იყო. შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა.

სახელოვანი მაღაროელის ცვლა განაგრძო ვასილის ვაჟმა ალექსანდრემ. გამრჯე ჭაბუკი მუშაობდა და სწავლობდა კიდეც. 20 წლის ალექსანდრე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ლენინგრადში იხდიდა მხედრულ ვალს. დემობილიზაციას ორი თვე აკლდა, როცა ფაშისტური გერმანია ვერაგულად შემოიჭრა ჩვენს მიწა-წყალზე...

ალექსანდრემ ჯარისკაცული ცხოვრება 1946 წლამდე გააგრძელა. იყო დახავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებზე. სარდლობის ჯილდოებიც დაიმსახურა. კომუნისტური პარტიის წევრი შორეულ აღმოსავლეთში გახდა. ჭალმოხდილი ვაჟკაცი ჭიათურას დაუბრუნდა, პერევისის მაღაროში დაიწყო მუშაობა.

ალექსანდრეს ახლახან შეუსრულდა 50 წელი. მაგრამ სამ ათეულ წელზე მეტი მაღაროში შრომასა და სამშობლოს დაცვაში გაატარა, თავი არსად შეურცხვენია. იგი 22 წელია მაღაროში მებიგედ მუშაობს. სანგრევის გამაგრება სერიოზული საქმეა, და დახელოვნებული მებიგეც საგულდაგულოდ, უწესოდ ასრულებს ამ სამუშაოს. იგი ცვლაში ოთხის ნაცვლად ხუთ-ექვს ჩარჩოს დგამს, დავალებას 130-150 პროცენტით ასრულებს. მან ხუთწლედის ოთხი წლის გეგმა უკვე შეასრულა და 1970 წლის ანგარიშში მუშაობს.

ალექსანდრე უნივერსალური მაღაროელია. იგი მარტო მებიგე როდია. მარგანეცის მაგარი ქანების მბურღავი, ამფეთქებელი მნგრეველი, ამწმენდი, მაღაროს რკინიგზელი — აი მისი პროფესიები. თავის მდიდარ საწარმოო გამოცდილებას ალექსანდრე ხალისით უზიარებს ახალბედა მაღაროელებს. მან მებიგეობა შეასწავლა ა. ბიწაძეს, გ. ბრეგვაძეს, პ. ციცვიძეს, გ. ცერცვაძეს, რომლებიც ახლა მასწავლებელს როდი ჩამოუვარდებიან.

წარჩინებულმა მაღაროელმა არიცის რა არის მოცდენა, წუნი, უყაირათობა. ალექსანდრე სამაგალითოა შრომაში, ყოფაცხოვრებაში. იგი კომუნისტური შრომის დამკვრელია.

— პენსიაზე გასვლა მიწევს, მაგრამ ისე მიყვარს მშობლიური საწარმო, რომ ვიცი შინ მაინც ვერ გავჩერდები, — ამბობს ალექსანდრე.

მუშური სინდისით, შრომისმოყვარეობით ალექსანდრე გელაშვილმა მაღაროს კოლექტივში საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. შრომა მართლაც რომ ყოველგვარი სიკეთის, ბედნიერების და სიხარულის წყაროა.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტი“ საკ. კორ.

მეცნიერების პროპაგანდისტთა ამოცანები

მუშაობა დაკმთავრა ჟურნალისტთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითმა კონფერენციამ

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. შ. ხანანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალგაზრდა ქიმიის კათედრის დოცენტი მიხეილ შაფთას-ძე ხანანაშვილი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1969 წლის 25 აპრილი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ლ. დ. ესაკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ კინოხელოვნებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორი ამხ. ლეო დიმიტრის-ძე ესაკია დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1969 წლის 25 აპრილი.

ნეს საინტერესო მოხსენებები და ინფორმაციები, რომლებშიც განზოგადებული იყო თანამედროვე მეცნიერების ისეთი დარგების მიღწევები, როგორიცაა კიბერნეტიკა, ფიზიკა, ფილოსოფია, ისტორია, ბუნებისმეტყველება და სხვა. ამასთან მეცნიერებმა ჟურნალისტებთან ერთად განიხილეს მეცნიერების პოპულარიზაციის ხარისხი, დასახეს უფრო მტკიცე და ნაყოფიერი ურთიერთკონტაქტების გზები.

23 აპრილს კონფერენციის მონაწილენი მუშაობას განაგრძობდნენ ორ სექციაში.

სამეცნიერო ინფორმაციის, სტატისა და ნარკვევის სექციაში მოხსენება „სამეცნიერო ინფორმაცია პრესაში“ გააკეთა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ კულტურის განყოფილების გამგემ ხ. ი. გველესიანმა. „სტატია და ნარკვევი მეცნიერებაზე“ — ამ თემას მიუძღვნა თავისი გამოსვლა ჟურნალ „ზნანიე—სილას“ პასუხისმგებელმა მდივანმა გ. ა. ზელენკომ. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარული განათლების ინსტიტუტის ინფორმაციის განყოფილების გამგე ა. ლ. ჩერნიახოვსკი შეეხო მასობრივი მკითხველისათვის განკუთვნილ, სამედიცინო მასალების პროპაგანდის ზოგიერთ თავისებურებას.

გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: საქმიანის მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლების, სკოლებისა და ჯანმრთელობის დაცვის რედაქციის უფროსი რედაქტორი მ. ბ. ტრასკუნინ ამადლების გზები, ნათქვამი იყო, რომ ეს მასალები უფრო გასაგები უნდა იყოს, ჟანრების მეტ მრავალფეროვნებას მოითხოვენ.

ჟურნალისტებმა უნდა ამრავლონ თავიანთი წვლილი სამეცნიერო ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის გადიდებაში, უფრო ხმამაღლა გააკრიტიკონ ნაკლოვანებანი სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საქმეში.

კონფერენციამ ცხადყო ჟურნალისტთა და მეცნიერთა შემოქმედებითი თანამეგობრობა. შეერგებლად მოისმინა ვ. ი. ლენინის ინსტიტუტის ბიუროს ლაბორატორიის გამგემ ზ. ა. ლატიშევმა მოხსენება მიუძღვნა პრობლემას — „მეცნიერების პოპულარიზაცია და ვულგარიზაცია“.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ ჟურნალ „ეზოზორეტატელი რაციონალიზატორის“ განყოფილების გამგე ლ. პ. ტეპლოვი, გამომცემლობა „დეტგიზის“ მეცნიერების რედაქციის გამგე მ. მ. კალაკუცკაია, მწერალი ბ. ვ. ლიაპუნოვი, კორეს-პონდენტი ჟურნალისა „ტექნიკის პორიზონტა ბავშვებისათვის“ (ვარშავა) ვ. ი. კლიმოვა, ჟურნალ „სოკონსტრუქტორო ბიუროს ლაბორატორიის გამგემ ზ. ა. ლატიშევმა მოხსენება მიუძღვნა პროგაგანდის თავისებურებებს, მეცნიერების დარგის ჟურნალისტთა კადრების მომზადების პრობლემებზე ილაპარაკა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის დოცენტმა ე. ა. ლაზარევიჩმა.

კონფერენციის მონაწილეებს უჩვენეს სამეცნიერო-პოპულარული ფილმები.

24 აპრილს დილით გაიმართა მეცნიერებასა და ტექნიკაზე მწერალ ჟურნალისტთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი კონფერენციის დასკვნითი პლენარული სხდომა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელმა ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ე. ა. არაბ-ოღლიმ გააკეთა მოხსენება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სოციალური შედეგების შესახებ. მეცნიერების სოციოლოგიას მიუძღვნა მოხსენება სსრ კავშირის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის დოცენტმა ვ. ნ. ვოლკოვმა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ასპირანტმა ვ. ზ. კოტანმა წაიკითხა მოხსენება „ინფორმაციული ბალანსი“. „ეროვნული ეკონომიკა“ — ამ თემას ეძღვნებოდა ალ. ალ. ბოგდანოვის, ალ. ალ. ბოგდანოვის, ალ. ალ. ბოგდანოვის,

საერთაშორისო ცხოვრება

მსოფლიო დღეს

ქრონიკა • ჯროგლემები

თავისუფლება ბერძენ პატრიოტებს!

ის, რაც ამჟამად საბერძნეთში ხდება, მთელი მსოფლიოს დემოკრატიული და ანტიფაშისტური საზოგადოებრიობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. ფაშისტურმა დიქტატურამ შეეცადა ბერძენი ხალხის ყოველგვარი უფლებები, უკვე მეორე წელია „შავი პოლკოვნიკების“ რეჟიმი ტერორისტული და რეპრესიული მეთოდებით მართავს სახელმწიფოს.

ბერძენ პატრიოტებს ხუნტის დიქტატორული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში სრულ სოლიდარობას უცხადებს ყველა საბჭოთა ადამიანი და მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც. ეს კიდევ ერთხელ ცხადყო ბერძენ პატრიოტებთან სოლიდარობის იმ ხალხმრავალმა მიტინგებმა, რომლებიც გუშინ ჩვენი დედაქალაქის საწარმოებში გაიმართა.

თბილისის კერამიკულ კომბინატში 25 აპრილს გაიმართა ბერძენ პატრიოტებთან სოლიდარობის ხალხმრავალი მიტინგი.

მიტინგი გახსნა საწარმოს პარტიიოროს მდივანმა ბ. პატარაიამ. — საბერძნეთი მძიმე განსაცდელშია, — თქვა მან, — უკვე მეორე წელია, რაც იქ ფაშისტური გადატრიალება მოხდა. ამერიკელ იმპერიალისტთა უშუალო მხარდაჭერით სამხედრო ხუნტამ ხელთ იგდო ძალაუფლება. ბერძენი ხალხის ბედი მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის შეშფოთებას იწვევს.

— მთელი მოწინავე კაცობრიობა მხარს უჭერს მტაციე მებრძოლებს საბერძნეთში კონსტიტუციური უფლებების აღდგენისათვის, — განაცხადა ქურის საამქროს გამომწყვლმა ი. ავალიანმა. ყოველ ჩვენგანს სჯერა, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს — დაემხობა „შავი პოლკოვნიკების“ სამარცხვინო ფაშისტური დიქტატურა.

ტრიბუნაზეა მექანიკური საამქროს ხარატი ტ. ბერკენაშვილი.

— ეჭვიც არ არის, — თქვა მან, — რომ საბერძნეთის სამხედრო ხელისუფლებს ზურგს უმაგრებს საერთაშორისო რეაქცია. საბერძნეთის ამბები ხელს აძლევს მას. დიქტატორები ცდილობენ ჩაახშონ ხალხის მისწრაფება თავისუფლებისა და დემოკრატიისადმი. დღეს ახალი ძალით გაისმის მთელი სამყაროთა ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა, რომ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ საპყრობილეებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან ყველა პოლიტიკური პატიმარი, რომელთა შორის ბევრი ანტიფაშისტი და დემოკრატია.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გამოკრავი მოითხოვენ ყველა ხელისუფალთაგან შეწყვიტონ ტერორი საბერძნეთში.

თბილისის კამოს სახელობის სასწავლო-თვალსაჩინოების ხელოსნურ ქარხანაში გაიმართა ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგი საბერძნეთის სამხედრო ხუნტის თვითნებობის წინააღმდეგ.

საინფორმაციო მოხსენებით გამოსულმა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილემ კ. ხაჩანელმა თქვა:

— საბერძნეთის ხელისუფალთა თვითნებობა მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. საბერძნეთის ახლანდელ მმართველთა შავნელი საქმენი გესტაპოსა და ჰიტლერის სს-ელი არამზადების, ოსვენციმისა და მაიდანეკის, მაუტჰაუზენისა და ბუჩენვალდის ჯალათების სისხლიანი საქმეების პირდაპირი გაგრძელებაა.

ჩვენ მოვითხოვთ აღადგინონ დემოკრატიული თავისუფლებანი ქვეყანაში, რომელმაც მსოფლიოს შეძინა სიტყვა „დემოკრატია“, — თქვა სამხმოვნა, მეორე საამქროს მეკარავი ნ. შარაკაშვილი.

აღშფოთებული ვართ, როცა ვხედავთ, რომ დღეკანდელ საბერძნეთში თელავენ დემოკრატიას. „შავი პოლკოვნიკების“ სისტემანი დანაშაული მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს.

— საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, თუ რა სიფრთხე უქმნის მშვიდობას ნეოფაშიზმი, რომელიც საბერძნეთში გახელისუფლდა. საბჭოთა ხალხი დაბეჯითებით მოითხოვს ფაშიზმის ყველა პატიჩის განთავისუფლებას. ჩვენ, სამკერვალო ფაბრიკის მუშები ეს სპეციალიტეტი მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად პროტესტს ვაცხადებთ საბერძნეთის სამხედრო ხუნტის უკანონობასა და თვითნებობის წინააღმდეგ. ალბ. ელადის შვილები არასოდეს არ დაიჩქვნენ. — თქვა მოსამზადებელი საამქროს მუშამ **გ. ნაცვლიშვილმა.** (საქდესი).

გულისწყრომით იყო გამსჭვალული ბერძენ პატრიოტთა მხარდაჭერის მიტინგის მონაწილეთა სიტყვები. მიტინგი, რომელიც გაიმართა თბილისის № 3 სამკერვალო ფაბრიკაში, გახსნა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ლომაძემ.** ინფორმაცია გააკეთა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა **გ. ჭითანავამ.**

— ორი წელი გავიდა იმ დღიდან, რაც ფაშისტმა თვმქმელებმა საბერძნეთში გადატრიალება მოახდინეს. საბერძნეთში. სამხედრო ხუნტამ ოკუპანტებადმე იმპერიალისტთა უშუალო მხარდაჭერით ხელთ იგდო ძალაუფლება. ძველ ელადაში, სადაც პირველად დაიბადა დემოკრატიის აკვანი, დადგა რეაქციის ბნელი ღამე.

მიტინგზე გამოვიდნენ ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **დ. კაპანაძე.** პირველი სამკერვალო საამქროს მუშა **მ. რაგიმოვა,** მეორე საამქროს მკერავი **ნ. შარაკაშვილი.**

აღშფოთებული ვართ, როცა ვხედავთ, რომ დღეკანდელ საბერძნეთში თელავენ დემოკრატიას. „შავი პოლკოვნიკების“ სისტემანი დანაშაული მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს.

— საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, თუ რა სიფრთხე უქმნის მშვიდობას ნეოფაშიზმი, რომელიც საბერძნეთში გახელისუფლდა. საბჭოთა ხალხი დაბეჯითებით მოითხოვს ფაშიზმის ყველა პატიჩის განთავისუფლებას. ჩვენ, სამკერვალო ფაბრიკის მუშები ეს სპეციალიტეტი მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად პროტესტს ვაცხადებთ საბერძნეთის სამხედრო ხუნტის უკანონობასა და თვითნებობის წინააღმდეგ. ალბ. ელადის შვილები არასოდეს არ დაიჩქვნენ. — თქვა მოსამზადებელი საამქროს მუშამ **გ. ნაცვლიშვილმა.** (საქდესი).

პარიზის თათბირი ვიეტნამის საკითხზე

პარიზი, 24 აპრილი. (საკდესი). დღეს პარიზში გაიმართა ვიეტნამის საკითხზე ოთხმხრივი თათბირის მე-14 პლენარული სხდომა. სხდომა დაიწყო საიგონის ადმინისტრაციის წარმომადგენლის შამ დანგ ლაკის სიტყვით, რომელიც ამტკიცებდა, თითქოს საიგონი „არ მოითხოვდეს ეროვნული განთავისუფლების ფრონტის „კაპიტულაციას“, თუმცა დასძინა, განთავისუფლების ეროვნულმა ფრონტმა „მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებულ ბრძოლაზე უნდა აიღოს ხელი“.

ამ „იდეებს“ სავსებით დაუპირისპირა მხარი ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა კენრი ქაბოტ ლოჯმა, რომელმაც თავის მხრივ კვლავ მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათს სამხედრო მოწინააღმდეგეთა ჯარების დაკავებული პოზიციებიდან „ეტაპობრივ ევაკუაციას“.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციის მეთაურმა ჩან ბინ ანმემმა უპასუხა საიგონისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს და თქვა, რომ მათ სურთ განაგრძონ ომი „უკანასკნელ ვიეტნამელამდე“. თქვენი გეგმის მიზანია, მიმართა მან ადრე გამოსულ დელეგატებს, „გააძლიეროთ ომი, აწარმოოთ მოოპერაციები ძალის პოზიციიდან, გააგრძელოთ ამერიკის საექსპედიციო კორპუსის ყოფნა სამხრეთ ვიეტნამში, გააჩიანუროთ ეს თათბირი, რათა მოიგოთ დრო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ომის „დეზამერიკანიზაციისათვის“ თუ „ვიეტნამიზაციისათვის“, ესე იგი იმისათვის, რომ გამოიყენოთ ვიეტნამელები ვიეტნამელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა ამერიკის ნეოკოლონიალიზმის მონობაში იყოლიოთ სამხრეთი ვიეტნამი.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ „სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ბრძოლა, სანამ არ მოიპოვებს ნამდვილ მშვიდობას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას“.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა სუან თხეუმ რომელმაც კვლავ ხაზი გაუსვა, რომ „ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოთხ პუნქტსა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხუთ პუნქტში ჩამოყალიბებული პოზიცია საფუძველია ვიეტნამის პრობლემის სამართლიანი პოლიტიკური გადაწყვეტისათვის და საპატიო გამოსავალია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის“.

„მოვაწოდებთ თათბირის მონაწილეებს, თქვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა, — დაუყოვნებლივ დაიწყონ ვიეტნამის მოწესრიგების პრობლემათა განხილვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოთხი პუნქტისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხუთი პუნქტის საფუძველზე, რათა რაც შეიძლება მალე მოიღოს ბოლო ვიეტნამის ომს“.

გამოღის ფინურ ენაზე

ჰელსინკი, 25 აპრილი. (საკდესი). ვლადიმერ ილიასძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით გამომცემლობა „კანსანკულტურა“ ამზადებს ორი კრებულის გამოცემას ლენინურ თემატიკაზე.

როგორც გაზეთი „კანსან უუტისტაკი“ იუწყება, ერთერთ კრებულში მოთავსებული იქნება ვ. ი. ლენინის ნაშრომები მარქსიზმის ისტორიის, დიალექტიკური მატერიალიზმის, რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე და სოციალიზმის მშენებლობის პრობლემებზე. მეორე კრებული მიეძღვნება თემას „ვ. ი. ლენინი ფინელთა მოგონებებში“. კრებულში შევა იმ ადამიანთა მოგონებანი, რომლებიც შეხვედრიან ვ. ი. ლენინს.

ბერძენი ჟურნალისტი ამხილებს



ხუნტის რეჟიმის ბურჯი.

ნახ. გაზეთ „ლონგ-აილენდ პრესიდან“.

ხუნტის იარაღია ხიშტი და ხელკეტი

ანტიდიქტატორული მოძრაობის ზრდა სულ უფრო აშინებს ათენელ მმართველებს. ამიტომ არის, რომ ისინი ცდილობენ ფაშისტური მეთოდები თავიანთი რეჟიმის პროპაგანდისტულ შელამაზებას შეუხამონ. ავიღოთ, მაგალითად, მათი დამოკიდებულება პროფკავშირებისადმი.

საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზეიდაწოლით ხუნტის წარმომადგენლებმა დიწყეს ლაპარაკი „პროფკავშირული თავისუფლების აღდგენაზე“. შრომის მინისტრის ვოიკისის სტატეგიით რომ ვთქვათ, მშრომელთა „თავისუფლება“ განმტკიცებულია კონსტიტუციით, და თითქოს მთავრობა არ ერეოდეს პროფესიულ ორგანიზაციათა საქმიანობაში. მაგრამ ფაქტები უარყოფენ ამ დემაგოგიურ მტკიცებებს.

სამხედრო-ფაშისტური დიქტატურა თავზეხელაღებით აწარმოებს შეტევას მშრომელთა ცხოვრების დონის წინააღმდეგ. იგი ადგილობრივი ოლიგარქიის, უცხოური მონოპოლიებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს აგრესიული წრეების ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებს.

მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა დღითიდღე აუარესებს მასების მატერიალურ მდგომარეობას. მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალი იმავე დონეზეა გაყინული, ხოლო ინფლაცია საშინ ტემპინაციას აღწევს (1967 წელს ქალაღდის ფულის როდენობამ ბრუნვაში 7,8 მილიარდ დრაკმს მიაღწია, შარშან ეს ციფრი ბევრად გაიზარდა). „შავი პოლკოვნიკები“ ცდილობენ ადგილობრივი და უცხოური მონოპოლიებისათვის უზრუნველყონ რაც შეიძლება დიდი მოგება. მათ ფართოდ გაუღეს კარი ამერიკისა და დასავლეთგერმანულ კაპიტალს. მარტო 1968 წელს საბერძნეთის ეკონომიკაში დაბანდებული იყო 270 მილიონი დოლარი. სპეციალური კანონით 89/67 უცხოური ფირმები განთავისუფლებული არიან შემოტანილ საქონელზე გადასახადისაგან, აგრეთვე ბრუნვის გადასახადისაგან. ეს აქვეითებს ადგილობრივი სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობას, გაკოტრებით ემუქრება ასობით სამუალო და წვრილ საწარმოს. როგორც ათენის ხუნტის გაზეთი „კროპოლისი“ აღიარებს, შრომის სამინისტრო განუსაზღვრელ უფლებებს აძლევს სამუშაოს მიმცემთ დაადგინონ „ზენორმიული ცვლები“, „თავიანთი შეხედულებისამებრ“ ყოველთვიურად დაითხოვონ პერსონალის 10 პროცენტი. 146/67 კანონის საფუძველზე კაცმა, რომელიც სამუშაოზე ეწყობა, უნდა წარადგინოს ასფალიის ცნობა ლოიალობის შესახებ. რვა ათასზე მეტი მოსამსახურე დაითხოვეს როგორც „არასაიმედონი“. ათეული ათასობით დერეკრატი, რომლებსაც არა სურთ დიქტატურის მორჩილი მონა იყვნენ, შიმშილობს და უფლებამოკლებულია. შეიარაღებული რაზმები, რომლებიც პროფკავშირების ტერორიზაციას ეწევიან, სასტიკად უსწორდებიან სხვაგვარად მოაზროვნე მუშებს. ხუნტის მიერ ფართოდ რეკლამირებული „ახალი კონსტიტუცია“ კრძალავს ყოველგვარ საზოგადოებრივ ან კერძო კრებებს. ძალაში რჩება არმიის გენერალური შტაბის სპეციალური ბრძანებაც, რომლის საფუძველზე აკრძალულია პროფკავშირული პრესა, ხოლო პროფკავშირების ფულადი სახსრები, ქონება და არქივები კონფისკებულია.

მაშ რომელ „თავისუფლებაზე“ ლაპარაკობს შრომის მინისტრი ვოიკისი? განა შეიძლება პროფკავშირული მოძრაობა არსებობდეს ტერორისა და ძალადობის პირობებში? 200-ზე მეტი პროფკავშირული ორგანიზაცია, მათ შორის გაერთიანება „დემოკრატიული მოძრაობა“, პროფკავშირული ორგანიზაციების საკოორდინაციო კომიტეტი, დემოკრატიის დაცვის პროფკავშირული კომიტეტი და სხვა დემოკრატიული პროფესიული ორგანიზაციები, კანონგარეშე არიან გამოცხადებული. ნებადართულ, მაგრამ ეჭვმეტანელ პროფკავშირებში ტოტალური წმენდა ჩატარდა. ხუნტა, მაგალითად, ახალი პროფესიული ორგანიზაციის შექმნის ნებას რთავს, მაგრამ მთავარ პირობას წარმოადგენს მათი სრული დაქვემდებარება ფაშისტური დიქტატურის პოლიტიკისადმი. ამავე დროს დემოკრატიული პროფკავშირების გაუქმების მთავარ არგუმენტად ითვლება „მათი მისწრაფება პოლიტიკისადმი“.

ხუნტის კონსტიტუცია გაფიცვებს თვლის ისეთ მოქმედებად, რომელიც მორალურ და მატერიალურ ზარალს აყენებს შრომელთა ინტერესებს, ხოლო პოლიტიკური ხასიათის გაფიცვები, ნათქვამია კონსტიტუციაში, „თავისთავად ნიშნავს მათი მონაწილეების თვითდათხოვნას“.

საბერძნეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ლიდერები „შავი პოლკოვნიკების“ ლაქიების როლში გამოდიან, ხოლო მისი მდივანი ასფალიაში „არასაიმედო“ მუშათა სიებს გზავნის. პროფკავშირულ მოღვაწეთა დაპატიმრებებმა და დევნამ, მუშათა წინააღმდეგ რეპრესიებმა და პროვოკაციებმა ფართოდ მოიკიდეს ფეხი ხუნტის ყოველდღიურ პრაქტიკაში. ცნობილია ათეულობით შემთხვევა, როცა ასფალიის კედლებში აწამებდნენ ხალხის მიერ არჩეულ მშრომელთა წარმომადგენლებს. ასობით მათგანი სიკვდილის კუნძულებზე იტანჯება.

მუშათა კლასი დაუნდობელი ექსპლოატაციის ობიექტი გახდა. საბერძნეთის მრეწველთა გაერთიანებამ მთავრობას მოსთხოვა გადასინჯოს მუშათა კანონმდებლობა, კერძოდ გააუქმოს ომის ვეტერანთა უფლება და იმ მუშათა ერთდროული დახმარება, რომლებიც მავნე და მძიმე სამუშაოთი არიან დაკავებული, წარმოების ბევრ დარგში მეწარმეებმა შემოიღეს 10-12 საათიანი სამუშაო დღე. ოფიციალური მონაცემებით, შარშან საბერძნეთში დაახლოებით ასი ათასი უმუშევარი იყო. სინამდვილეში კი მათი რიცხვი ორჯერ მეტია.

ფაშისტური ხროვის დამხობისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს მუშათა კლასმა, ყველა დემოკრატიულმა და ანტიდიქტატორულმა ძალებმა. ეს კარგად ესმით სამხედრო რეჟიმის პროფკავშირულ ლაქიებს. ამიტომ ისინი ყოველნაირად ცდილობენ დამალონ სიმართლე თავიანთი დანაშაულობების შესახებ, გატეხონ მუშათა ნებისყოფა.

უკანასკნელი დროის ამბებმა ცხადყვეს საბერძნეთის კომპარტიის პოლიტიკის სისწორე. აქვს რა მხედველობაში პროფკავშირული მოძრაობა, პარტია აღნიშნავს, რომ „თანამედროვე ეტაპზე მთავარია მასობრივი სახალხო გამოსვლების განვითარება, რომლის წყაროს მუშათა კონკრეტული მოთხოვნები წარმოადგენენ“. მიუხედავად საგანგებო კანონებისა და სამხედრო ტრიბუნალებისა, საბერძნეთის კლასი შეუპოვარ საგაფიცვო ბრძოლას აწარმოებს. გაფიცულთა ავანგარდში კომუნისტები დგანან. მიმართავდა რა მუშებს, კომუნისტური გაზეთი „რიზოსპასტისი“ წერდა: „მუშათა ანტიდიქტატორული ფრონტის რიგებში აღსდექით ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად, გამოდით თქვენი უფლებების დასაცავად... ჩვენი წინააღმდეგობის საბრძოლო დროშას აწერია: უკუვაგდოთ ყველა, ვინც აშკარად თუ მალულად ხელყოფს ხალხის თავისუფლებას, დარწმუნებული ვართ ჩვენი სამართლიანი, წმიდა ბრძოლის გამარჯვებაში“.

დ. ტუსლიანოსი,
ბერძენი ჟურნალისტი.

ბელგია

ბელგიელთა ეკონომიური პოთხოვნები

ბელგია. ეგრეთწოდებული „შავი რაინდები“ ლიეჟიდან ტურნეიმდე გამოვიდნენ მასობრივ დემონსტრაციაზე, რომელიც მიზნად ისახავს მთავრობის ყურადღება მიაპყროს ბელგიის სამხრეთ პროვინცია ვალონიის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ლოზუნგები: „შეწყვეტ საწარმოების დახურვას!“, „შეაჩერეთ უმუშევრობის ზრდა!“

სურათზე: შარლეროაში მოწყობილი დემონსტრაცია, რომელშიც 50 ათასზე მეტი კაცი იღებდა მონაწილეობას.

ტელეფოტო მ. სამჩენკოსი, (საკდესის ფოტოქრონიკა).

ისრაელის მხედრიონის აქტივიზაცია

ნიუ-იორკი, 24 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ს. ლოსეფი გვაძლიბინებს:

ისრაელის პრემიერ-მინისტრის მოადგილე იგალ ალონი კვლავ აბრესიულად დამუქრა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სხვა მეზობელ არაბულ სახელმწიფოებს. როგორც დღის ამერიკის რადიოსადგურის „დაბლუაი-ენ-ეს“-ის იერუსალიმელი კორესპონდენტი იუწყება, ალონმა განაცხადა, რომ ისრაელი თვითონ „დაადგენს ახალ საზღვრებს“.

ამ პროვოკაციულ განცხადებებს თან ადევს ისრაელის მხედრიონის აქტივიზაცია სუეცის არხის ზონაში.

როგორც ყოველთვიურად ჩანს, ისრაელის სარდლობა ამჯერებს გაანფართოოს შეიარაღებულ პროვოკაციათა მასშტაბი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ისრაელის მხედრიონის პროვოკაციები სერიოზულ შეშფოთებას იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ თანტმა სპეციალურ მოხსენებაში უმშიროების საბჭოსადმი აცნობა მას სუეცის არხის სეკტორში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება ციცხლის შეწყვეტის შესახებ თითქმის არ არის ეფექტიანი სუეცის არხის ზონაში, და რომ იქ ფაქტიურად ომის მდგომარეობაა.

ვიეტნამის რადიოს ცნობა

როგორც პეკინის რადიო იუწყება, 24 აპრილს პეკინში დიიხურა „ჩინეთის კომპარტიის მე-9 სრულიად ჩინეთის ყრილობა“. გამოცხადებულია, რომ აირჩიეს ცენტრალური კომიტეტი. ყრილობის კომუნიკე შეიცავს ანტისაბჭოთა გამოხდომებს. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-ირანის თანამშრომლობა

თეირანი, 24 აპრილი. (საკდესი). დღეს თეირანში მუშაობა დაამთავრა კონფერენციამ საბჭოთა კავშირ-ირანის რკინიგზის მიმოსვლის საკითხებზე. მხარეებმა განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა სასაზღვრო სადგურების — საბჭოთა ჯულფისა და ირანის ჯულფის მუშაობის გაუმჯობესება. სადგურ ირანის ჯულფაში ვაგონების გადასაყენებელი პუნქტის მშენებლობა და ექსპლოატაცია, რკინიგზის სადგურის ირანის ასტარის, სასაზღვრო მდინარეზე რკინიგზის ხიდის მშენებლობა და სხვა.

აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის საჭირო ტექნიკური და ეკონომიური დახმარება გაუწიოს ირანს ქალაქ ასტარაში რკინიგზის დაპროექტებასა და მშენებლობაში.

ექსპერტებმა განიხილეს ირანის რკინიგზის ხაზის თავრიზ-ჯულფის ელექტრიფიკაციის საკითხი და შეიმუშავეს საპროექტო და სამშენებლო სამუშაოთა შესრულების წესი.

კონფერენციაზე კმაყოფილებით აღინიშნა, რომ 1969 წლის პირველ კვარტალში ვაგონების საშუალო სადღეღამისო გადაცემამ სხრ კავშირსა და ირანს შორის შეადგინა 190 ვაგონი, მაშინ როცა 1968 წელს იყო 163 ვაგონი. საბჭოთა მხარის სატვირთო ვაგონების ბრუნვა სადგურ ირანის ჯულფაში დაჩქარდა: იყო 4,5 დღეღამე, გახდა 2 დღეღამე.

ფაქტები

ჯ. ტრიუდოს გამოსვლა

ოტავა, 25 აპრილი. (საკდესი). კანადის მთავრობა მოკავშირეებთან კონსულტაციის საფუძველზე აპირებს განახორციელოს პირველი ღონისძიებანი, რათა გეგმიანად და თანდათანობით შეამციროს თავისი შეიარაღებული ძალები ევროპაში, ეს ნათქვამია თემთა პალატაში პრემიერ-მინისტრ ჯ. ტრიუდოს მიერ შეტანილ რეზოლუციის პროექტში.

„ჩვენ ვადგავართ თავდაცვითს პოლიტიკას, ვითვალისწინებთ კანადის ინტერესებსა და მის ადგილს მსოფლიოში“, — თქვა პრემიერ-მინისტრმა. მან ხაზგასმით აღნიშნა: მთავრობა მოითხოვს, „რომ თავდაცვითი პოლიტიკა განისაზღვრებოდეს საგარეო პოლიტიკით, და არა პირიქით“.

ამავე დროს ტრიუდომ ერიხელ კიდევ დაადასტურა, რომ კანადა კვლავაც მიიღებს მონაწილეობას ნატოში.

კარამე გადადგომას ითხოვს

ბეირუთი, 25 აპრილი. (საკდესი). გუშინ სალამოს ლიბანის პრემიერ-მინისტრმა რაშიდ კარამემ პარლამენტს გადასცა განცხადება გადადგომის შესახებ. ეს მოხდა პარლამენტის ექვსსაათიანი სესიის დასასრულს, რომელმაც კარამეს მთავრობა გააკრიტიკა პოლიციისა და პალესტინელ პარტიზანთა მხარდასაჭერად გამოსული დემონსტრანტების შეტაკებებთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებებისათვის. შეტაკებანი უკანასკნელი ორი დღის მანძილზე მოხდა ლიბანში.

უნდა გაიმართოს კარამეს შეხვედრა პრეზიდენტ ჰელუსთან, რომლის დროს განიხილავენ ლიბანის ახალი მთავრობის შექმნის საკითხს.

მილიარდები ომისათვის

ბონი, 25 აპრილი. (საკდესი). როგორც, დასავლეთგერმანული ეურნალი „შტერნი“ წერს, გიგანტურ თანხას — 7 მილიარდ მარკას შეადგენს ხარჯები, რომლებიც უკავშირდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ხელახალ შეიარაღებას უახლოეს წლებში, ეურნალი ამ გეგმებს უწოდებს ბუნდესვერის შეიარაღების დარგის „ყველაზე დიდ ავანტიურას“ მისი შექმნის მომენტიდან.

„შტერნი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახლა პრაქტიკულად დასავლეთ გერმანიის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს მზადება ახალი თვითმფრინავის შექმნისათვის, რომელმაც უნდა შეცვალოს ნატოს მთელი რიგი ქვეყნების ახლანდელი თვითმფრინავები. დასავლეთი გერმანია აპირებს იყიდოს 600-700 ასეთი თვითმფრინავი, ინგლისი — 150, ჰოლანდია და იტალია კი — 200-მდე თვითმფრინავი.

თხოვნა დაკმაყოფილეს

ნიუ-იორკი, 24 აპრილი. (საკდესი). სოციალისტური ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენელთა თხოვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გავრცელებულია როგორც ოფიციალური დოკუმენტი გენერალური ასამბლეის ტექსტი ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიმართვისა ევროპის ყველა ქვეყნისადმი, რომელიც 1969 წლის 17 მარტს მოიწონეს ბუდაპეშტში.

ქომუნისტი

მე-8 გვერდი, შაბათი, 26 აპრილი, 1969 წ.

ნაბჭოთა კავშირ-ირანის რკინიგზა

ნიუ-იორკი, 24 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მორიგი იერიში მიიტანა ამერიკელის ოჯახის ბიუჯეტზე.

პრეზიდენტმა ნიქსონმა გუშინ კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოიწოდებს კვლავ გაადიდოს საფოსტო მომსახურების ღირებულება 1969 წლის 1 ივლისიდან. ეს ღონისძიება მომავალ სეზონისა წელს სალარეს დამატებით მოუტანს 600 მილიონზე მეტ დოლარს.

პრეზიდენტის გადაწყვეტილება, გაადიდოს საფოსტო მომსახურების ფასი, დამთხვა შრომის სამინისტროს შრომის სტატისტიკის ბიუროს მიერ მონაცემების გამოქვეყნებას ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების ღირებულების ზრდის შესახებ. მხოლოდ მარტში სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასებმა მოიმატა 0,9 პროცენტით და ბოლო წლის მარტთან შედარებით 5,1 პროცენტით გადიდდა. ცხოვრების ღირებულების ასეთი ზრდა ერთ თვეში ამერიკის შეერთებულ შტატებში არ ყოფილა უკანასკნელი 18 წლის მანძილზე.

ინდოეთი

ნიუ-იორკი, 24 აპრილი. (საკდესი). ორი ათასი ღარიბი, უმთავრესად ზანგები და პუერტორიკოელები, გამოვიდა ნიუ-იორკის ქუჩებში, რათა მტაცეე პროტესტი განეცხადებინათ იმის წინააღმდეგ, რომ ხელისუფალნი გულგრილად ეკიდებიან ღარიბ-ღატაკთა საჭიროებებს. ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობის წინ გაიმართა დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებმა პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ თითქმის სანახევროდ შემცირდა ქალაქის საბიუჯეტო ასიგნებანი ღარიბთა სამუშაოთი უზრუნველყოფის პროგრამისათვის.

„ჩვენ მოგვებეზრდა ტკბილ-ტკბილი სიტყვები და დაპირებანი. ჩვენ გვინდა სამუშაო“ — ასეთი იყო დემონსტრაციის მონაწილეთა მოთხოვნა. ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ღარიბებისათვის დახმარების გასაწევი თანხის შემცირებას „თავიდან ვერ აიცილებენ“.

ბელგიელთა ეკონომიური მოთხოვნები

ბელგია. ეგრეთწოდებული „შავი რაინდები“ ლიეჟიდან ტურნეიმდე გამოვიდნენ მასობრივ დემონსტრაციაზე, რომელიც მიზნად ისახავს მთავრობის ყურადღება მიაპყროს ბელგიის სამხრეთ პროვინცია ვალონიის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ლოზუნგები: „შეწყვეტ საწარმოების დახურვას!“, „შეაჩერეთ უმუშევრობის ზრდა!“

სურათზე: შარლეროაში მოწყობილი დემონსტრაცია, რომელშიც 50 ათასზე მეტი კაცი იღებდა მონაწილეობას.

ტელეფოტო მ. სამჩენკოსი, (საკდესის ფოტოქრონიკა).

ლარიბთა დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 25 აპრილი. (საკდესი). ორი ათასი ღარიბი, უმთავრესად ზანგები და პუერტორიკოელები, გამოვიდა ნიუ-იორკის ქუჩებში, რათა მტაცეე პროტესტი განეცხადებინათ იმის წინააღმდეგ, რომ ხელისუფალნი გულგრილად ეკიდებიან ღარიბ-ღატაკთა საჭიროებებს. ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობის წინ გაიმართა დემონსტრაცია, რომლის მონაწილეებმა პროტესტი განაცხადეს იმის წინააღმდეგ, რომ თითქმის სანახევროდ შემცირდა ქალაქის საბიუჯეტო ასიგნებანი ღარიბთა სამუშაოთი უზრუნველყოფის პროგრამისათვის.

„ჩვენ მოგვებეზრდა ტკბილ-ტკბილი სიტყვები და დაპირებანი. ჩვენ გვინდა სამუშაო“ — ასეთი იყო დემონსტრაციის მონაწილეთა მოთხოვნა. ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ღარიბებისათვის დახმარების გასაწევი თანხის შემცირებას „თავიდან ვერ აიცილებენ“.

ცხოვრება ძვირდება

ვაშინგტონი, 25 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მორიგი იერიში მიიტანა ამერიკელის ოჯახის ბიუჯეტზე.

პრეზიდენტმა ნიქსონმა გუშინ კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოიწოდებს კვლავ გაადიდოს საფოსტო მომსახურების ღირებულება 1969 წლის 1 ივლისიდან. ეს ღონისძიება მომავალ სეზონისა წელს სალაროს დამატებით მოუტანს 600 მილიონზე მეტ დოლარს.

**პრეზიდენტის გადაწყვეტილება, გაადიდოს საფოსტო მომსახურების ფასი, დამთხვა შრომის სამინისტროს შრომის სტატისტიკის ბიუროს მიერ მონაცემების გამოქვეყნებას ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების ღირებულების ზრდის შესახებ. მხოლოდ მარტში სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასებმა მოიმატა 0,9 პროცენტით და ბოლო წლის მარტთან შედარებით 5,1 პროცენტით გადიდდა. ცხოვრების

დიდი კვლევა

ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა გამოკვლევებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა

ამას წინათ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების წლიური საერთო კრება. მოისმინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს გ. წერეთლის მოხსენება „როგორ სწავლობენ ენებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში".

ქართველმა მეცნიერმა დაწვრილებით ილაპარაკა მუშაობაზე, რაც ინსტიტუტში წარმოებს აღმოსავლეთის ხალხთა ენებისა და კულტურის შესასწავლად. შეეხო თანამედროვე თეორიული ენათმეცნიერების მთელ რიგ საკითხებს. გ. წერეთელმა შეკრებილთა . განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო პრობლემებს, რომლებიც დასმულია ლინგვისტური მეცნიერების წინაშე წინა აზიის ძველი ენების—სემიტური, ინდო-ირანული, თურქული, ბიზანტიური, ბერძნული, აგრეთვე კავკასიის მთელი რიგი ენებისა და სხვა ენების რომელიც შედარებით-ისტორიული პლანით, ისე სინქრონული აღწერის თვალსაზრისით შესწავლის საქმეში.

აკადემიკოსმა გ. წერეთელმა ილაპარაკა დასკვნებზე, რომლებიც ქართველმა აღმოსავლეთმცოდნეებმა გამოიტანეს ამ ბოლო წლების მანძილზე, დამსწრეთ გაუზიარა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმები, რომლებსაც საქართველოს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი ეწევა ეთათმეცნიერების ამ დარგებში. მან დაწვრილებით ილაპარაკა აღმოსავლური ფილოლოგიის დარგის ტექსტების, ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ვრცელი გამოკვლევების გამოცემისათვის გაწეული მუშაობის შედეგებზე.

ქართველი აღმოსავლეთმცოდნის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც აღნიშნეს კამათში გამოსულმა სამეცნიერო-მეცნიერ-ბა. მაგალითად, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ი. ბელოდედმა თქვა:

— დიდი კმაყოფილების გრძნობა უნდა გამოვხატო იმის გამო, რომ ესოდენ ფართოდ არის გაშლილი აღმოსავლური ენების შესწავლა ქართულ ინსტიტუტში. სამწუხაროდ, ჩვენი აკადემია ამ მხრივ ჩამორჩება.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. ბერკოვმა, კერძოდ, თქვა:

— ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა ესოდენ გულმოდგინე, მრავალმხრივი, ღრმა და უაღრესად პროდუქტიული კვლევა, რაზეც გვესაუბრა გ. წერეთელი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში წარმოებულ კვლევას მაღალი შეფასება მისცა გამოსვლაში აკადემიკოსმა ვ. ჟირმუნსკიმ:

— აკადემიკოსმა წერეთელმა აღმოსავლეთმცოდნეობაში მუშაობის ისეთი სურათი დაგვიხატა, რომ პირდაპირ შეგშურდება კაცს. მთელი რიგი სპეციალობების ფართო გაქანების სიღრმისა და სხვა თვალსაზრისით ბევრი რამ არის, რაც უნდა გადაიღონ ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთაგან თვით მოსკოვსა და ლენინგრადშიც კი. ეს არის უაღრესად სასიხარულო მოვლენა და მსურს, რომ გიორგი წერეთელმა მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ცენტრალური აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მუშაობაში, იმიტომ რომ მისი გამოცდილება, უეჭველია, დიდად სასარგებლო იქნება. (საქდესი).



დიკლომი—ტექნიკუმს

ზუგდიდი. (საკ. კორ.). კადრების სამეცნიერო სამართლიანად თვლიან ზუგდიდის კვების მრეწველობის ტექნოლოგიურ ტექნიკუმს (დირექტორი პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. შონია), რომელმაც დღემდე 1.200-მდე საშუალო სპეციალური განათლების ახალგაზრდა მისცა სამშობლოს.

ტექნიკუმთან არსებობს წრეები. მათ შორის აღსანიშნავია ტექნიკური წრე, რომლის წევრებმა შექმნეს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს" მოქმედი მოდელი. იგი განსხვავდება ამჟამად არსებული მანქანისაგან იმით, რომ ელექტროძრავაზე მომუშავე ჩაის საკრეფ მანქანაზე დიზელის ძრავის ნაცვლად დაყენებულია ელექტროძრავი. მისი სიგრძეა 0,70 მეტრი, სიგანე — 0,42 და სიმაღლე 0,49 მეტრი, იწონის 15 კილოგრამს.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმატებით მონაწილეობდა ტექნიკუმის მოსწავლეთა მიერ შექმნილი მოქმედი მოდელი. მისი შემქმნელები ინჟინერ-პედაგოგი ო. მაჭაცარია (წრის ხელმძღვანელი), პედაგოგი რ. ჩანგელია, მოსწავლეები შ. ჯაფანძე, თ. დარასელია დაჯილდოვდნენ მედლებით და ფულადი პრემიით. ხოლო ტექნიკუმი — მისამე ხარისხის საპატიო დიპლომით.

* * *

სურათებზე: ზემოთ — ზუგდიდის კვების მრეწველობის ტექნიკუმის კორპუსების ხედი. ქვემოთ — ტექნიკუმის ინჟინერ-პედაგოგი, ტექნიკური წრის ხელმძღვანელი ო. მაჭაცარია (მარცხნივ), წრის წევრები ა. კიტია, ე. კუპრაშვილი და ნ. ხარჩილავა პრაქტიკული მეცადინეობის დროს.

ფოტო შ. ჩხმატიანისა.

ინტერვიუ ტელეფონით

„რუსთავი" პოლონეთში

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეგობრობის საზოგადოების მიწვევით პოლონეთში იმყოფება ამიერკავკასიის მეტალურგიშინის ტრესტთან არსებული ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „რუსთავი", რომლის ხელმძღვანელია სტუდენტთა და ახალგაზრდობის მსოფლიოს IX ფესტივალის ლაურეატი ანზორ მრეველიშვილი.

გუშინ გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ზ. მერკვილაძე ტელეფონით დაუკავშირდა ვარშავაში საკონცერტო ჯგუფის ხელმძღვანელს, რუსთავის ქალაქის საბჭოს კულტურის განყოფილების გამგეს რ. მერჩილაძეს. აი რა გვიამბო მან:

— ამჟამად პოლონეთის ქალაქ რიბინსკში მიმდინარეობს საბჭოთა კულტურის დღეები. აღსანიშნავია რომ ამ დღეებზე საბჭოთა კავშირიდან მიწვეულია ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „რუსთავი". რიბინსკი მეშახტეთა და მეტალურგთა ქალაქია. უკვე რამდენიმე კონცერტი გავმართეთ. პროგრამაშია ძველი ქართული სიმღერები და ცეკვები.

ქართულ ხელოვნებას 40-წუთიანი გადაცემა დაუთმო პოლონეთის ცენტრალურმა ტელევიზიამ.



ინდრა კვლავ ზედავს

ინდრა ახუჯა ინდოეთიდან ოდესაში თითქმის ბრმა ჩამოვიდა. მას თვალები დაავადებული ჰქონდა სნეულებით, რომელსაც ოფტალმოლოგები კერატიკონუსს უწოდებენ. თვალის რქოვანა გარსი დეფორმირებული იყო — მან მისთვის უჩვეულო კონუსისებური ფორმა მიიღო და სინათლეს აღარ ატარებდა. ავადმყოფი სწრაფად ბრმავდებოდა. რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი — აკადემიკოს ფილატოვის მეთოდით რქოვანას გადანერგვა. პირველი ოპერაცია ინდრა ახუჯას ინდოეთში გაუკეთეს, მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ. მხედველობა არ გაუმჯობესებულა. მაშინ მის ქმარს, ინდოეთის თბომავლის „ვიშვა სუდხას" კაპიტანს, ბატონ ახუჯას მოაგონდა ოდესა, სადაც იგი ხშირად ყოფილა და ინსტიტუტი, რომლის შესახებაც ბევრი სმენოდა. და აი სწორედ აქ მოიყვანა მან თავისი ბეჭული. ამ დროისათვის ექიმ ბარჩენა (ინდოეთში ნოპერაციები) თვალში მხედველობა არ აღმატებოდა ნორმალურის ერთ მეათედსაც კი. მარცხენათი კი ავადმყოფი თითქმის სრულებით ვერ ხედავდა.

როგორც ახალი ამბებს საგენტოს კორესპონდენტი ი. პიკარენკი იტყობინება, მას შემდეგ ორ თვეზე მეტი ხანი გავიდა. ინსტიტუტის სპეციალისტებმა ინდრას მხედველობა დაუბრუნეს. მარცხენა თვალის (სწორედ იმისი, რომლითაც იგი სავსებით ვერ ხედავდა) ოპერაცია გააკეთა პროფესორმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა ვასილი ბუშმიჩმა — აკადემიკოს ფილატოვის ნიმეიერმა მოწაფემ.

მასთან ერთად ინდოელ ავადმყოფს მკურნალობდა ექიმი ივანოვა ბალაცკა, ქსოვილური პრეპარატების საშუალებით, აგრეთვე ფილატოვის მეთოდით, მარჯვენა თვალის მხედველობა აღდგენილია 60-70 პროცენტით და იგი კიდევ უფრო უმჯობესდება.

მედიცინის დები, მომვლელები, კლინიკის მთელი პერსონალი მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდნენ ინდოელ პაციენტს. ინდრა ახუჯასთან მოდიოდნენ სანახავად ინდოეთის გემების მეზღვაურები, „ინფლოტის" ოდესის საგენტოს თანამშრომლები. მას ღვიძლად გაუხდა მინაკელი ქალიშვილი ზინა ბელობროვიჩი, რომელმაც ასეთივე ოპერაცია გადატანა და მასთან ერთად იწვა პალატაში. ზინას უფრო ადრე გაუკეთეს ოპერაცია და რთული ოპერაციის წინ იგი ანუგეშებდა, რწმენას უნერგავდა ინდრას, ეჯდა სასთუმალთან, როცა ნელა მიდიოდა სახვევის მოხსნამდე დარჩენილი დღეები.

ახლა ინდრა ახუჯა ემშვიდობება ადამიანებს, რომელთა ხელებმაც მას სინათლისა და ფერების სამყარო დაუბრუნა.

ნაიჩ-ნაიჩი

ვისია ანაბეჭდი?

ნიუ-იორკსა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებში მძარცველების ერთი ბანდა სისტემატურად ასდენდა ძარცვას. მაძებართა სპეციალური ჯგუფი ფეხდაფეხ დასდევდა ბანდიტებს და ყველგან, სადაც კი დანაშაული ხდებოდა, პოულობდა ფედერალური პოლიციის უფროსი ინსპექტორის გროულის თითების ანაბეჭდს, როგორც შემდეგ გამოირკვა, მძარცველებმა საიდანღაც მოახერხეს გროულის თითების ანაბეჭდის შოვნა და მის მიხედვით უაღრესად ზუსტი რეზინის შტამპები დაამზადეს. დანაშაულის ადგილზე კი ისინი ყველგან ტოვებდნენ შტამბის ანაბეჭდს.



დ. ს. ბერუჩაშვილი — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტმა, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა **დავით სტეფანეს-ძე ბერუჩაშვილმა** ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„აჯარის ასსრ სოფლის მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები".**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა **დ. ბერუჩაშვილისათვის** ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

5:3 ჩემპიონის სასარგებლოდ

მატჩები მსოფლიოს პირველობაზე



მერვე პარტიით დამთავრდა ნ. გაფრინდაშვილისა და ა. კუშნირის მატჩის პირველი ნახევარი. ამ პარტიაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

როგორ უნდა მოიქცნენ მწვრთნელები, როდესაც მოჭადრაკე ქალები თამაშობენ? ერთნი საუნრონირო შენობაში ყოფნას ამჯობინებენ, მწვავედ განიცდიან პერიპეტიებს. მეორენი (მათ რიცხვში ცნობილი გროსმეისტერი ი. ბოლესლავსკი) საერთოდ არ მოდიან დარბაზში: „ჩვენი საქმეა წინასწარ მომზადება და არა დარბაზში გულშემატკივრობა!" მ. ტალის პარტიის მსვლელობის დროს მისი მწვრთნელი ა. კობლენცი თეატრში მიდის ხოლმე.

ა. კუშნირმა მერვე პარტიაში ხელი აიღო ალიოხინის დაცვაზე, რომელიც სამჯერ გამოიყენა. ამჯერად მან აირჩია სიცილიური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ სწორედ ეს დასაწყისი შეგვხვდა პეტროსიან-სპასკის მატჩის პირველ პარტიაში. ნ. გაფრინდაშვილმა მეტოქის დასაწყისს პასუხად აირჩია წყნარი ვარიანტი, რომელმაც მას პოზიციური უპირატესობა მისცა. შავებს აქტიური კონტრთამაში უნდა დაეწყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ფრიად შევიწროებულ მდგომარეობას მიიღებდნენ.

მეოთხმეტე სვლაზე კუშნირმა გახსნა ცენტრი, რისთვისაც მან დროებით პაიკიც შესწირა. ამან პრეტენდენტს კარგი შესაძლებლობა მისცა, მაგრამ მალე იგი აჩქარდა, ნაადრევად გაცვალა ლაზიერები. შექმნილ დაბოლოებაში კუშნირს მეტად ზუსტად უნდა ეთამაშნა. ეს არც ისე იოლი საქმე იყო, რადგან პრეტენდენტი ძლიერ ცაიტნოტში აღმოჩნდა. მისი რამდენიმე პასიური სვლით კარგად ისარგებლა მსოფლიოს ჩემპიონმა და გააკეთიერა ფიგურები. კუშნირს ძლიერ გაუჭირდა. 35-ე სვლაზე ნ. გაფრინდაშვილს შეეძლო ენერგიული სვლით სწრაფად მოეგო, მაგრამ სხვანაირად ითამაშა. ამ შემთხვევაშიც მან საგრძნობი პოზიციური უპირატესობა შეინარჩუნა, თეორების 41-ე სვლის შემდეგ კუშნირმა ჩაიწერა თავისი სვლა.

ეი მატჩის მერვე პარტიის მსვლელობა:

ნ. გაფრინდაშვილი — ა. კუშნირი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ∂f3 e6 3. d4 cd 4. ∂:d4 ∂c6 5. ∂b5 d6 6. c4 ∂f6 7. ∂1c3 a6 8. ∂a3 ∫e7 9. ∫e2 0-0 10. 0-0 b6 11. ∫e3 ∫b7 12. ♕d2 ∂e5 (ეს პოზიცია არაერთხელ შეგვხვედრია სატურნირო პრაქტიკაში. აქ, ეტყობა თეორებმა უნდა ითამაშონ 13. f3 რთული თამაშით. მსოფლიოს ჩემპიონის მიერ არჩეული სვლა უარესია და კუშნირს საშუალებას აძლევს ჩაატაროს კონტრდარტყმა ცენტრში, რაც მას თავისუფალ თამაშს აძლევს) 13. ♕d4 ∂ed7 14. f3 d5 (აქ უკეთესი იყო 14... ∫e8, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს ვარიანტს, რადგან თეორებს ისედაც არ შეუძლიათ შეუშალონ d5 სვლას) 15. cd ed 16. ed ∫c5 17. ♕d2 ∫:e3+ 18. ♔:e3 ∫e8 19. ♕d2 b5 20. ∂c2 ♗b6+ 21. ∫f2 ∫ad8 22. ∫d1 ∂e5 23. ♔e3 ♔:e3 (ნაჩქარევი გადაწყვეტილებაა. 23... ♗c7-ის შემდეგ შავებს კარგი პოზიცია აქვთ). 24. ∂:e3 ∂g6 25. ∂c2 ∂:d5 26. ∂:d5 ∫:d5 27. ∫:d5 ∫:d5 28. ∂h4 ♗b7 29. ♗f1 ∫c8 (ეს მცდარი სვლა შავებს სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის. ბუნებრივი 29... ∂xf8-ის შემდეგ კუშნირს შეეძლო იმედით ეყურა მომავლისათვის) 30. ∫d2 ∫b8 31. ∫d6 ∫a8 (აი რა გამოიწვია პასიური სვლების სერიამ, რომელიც პრეტენდენტმა გააკეთა... ახლა მისი მდგომარეობა ძალზე მძიმეა. მსოფლიოს ჩემპიონი გადამწყვეტ შეტევაზე გადადის) 32. ∫b6 ∫a7 33. ∂d3 ∂xf8 34. ∂c5 ∫c8 35. ∫c6 (კიდევ უფრო უკეთესი იყო 35. ∫b8!) 35... ∂e7 36. ∫d6 ∂xe8 37. ∫d3 f5 38. b4 ∂xf7 39. ∫c2 g6 40. ∫b3+ ∂xe8 41. h4 (ამ პოზიციაში შავებმა ჩაიწერეს თავიანთი 41-ე სვლა).

გუშინ 91-ე სვლაზე გაიმარჯვა ნ. გაფრინდაშვილმა. ანგარიში გახდა 5:3 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

რ. კიმელფელდი,
ოსტატი.

... ჩემპიონატში ... ჭიდაობა

კიდევ ერთი მატჩი

გუშინ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის მეორე ქვეჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ დედაქალაქის „ლოკომოტივისა" და ტაშკენტის „პახტაკორის" გუნდები. გაიმარჯვა „პახტაკორმა" 3:1.

დღეს ამავე ქვეჯგუფის გუნდებს კიდევ ორი მატჩი ექნებათ. დონეცკის „შახტიორი" საკუთარ მოედანზე შეხვდება ალმა-ატის „კაირატს", ხოლო მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ითამაშებენ დედაქალაქის „სპარტაკისა" და მინსკის „დინამოს" გუნდები.

ფეხბურთის მოედნებზე

ბრძოლდება „ა" კლასის მეორე ჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში. ფრუნზეში მაჯჩი ჭკონდათ მეოთხე ქვეჯგუფის გუნდებს — თბილისის „ლოკომოტივსა" და ფრუნზეს „ალგას". შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მასპინძლებია — მექსიკელმა ფეხბურთელებმა სევილიაში გამართეს საერთაშორისო შეხვედრა ესპანეთის ნაკრებთან და მატჩი ფრედ (0:0) დაამთავრეს.

მატჩი ლენინგრადში სსრ კავშირის თასზე ადგილობრივი „დინამოსა" და იაროსლავლის „შინიკის" გუნდებს შორის დამთავრდა „შინიკის" გამარჯვებით 2:1.

... ფეხბურთი

... ბადმინტონი

... ...